



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

18 ივნისი 2024



N 21/6371

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს
ელ. ფოსტა: sdscaucasus@gmail.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №4830 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე გაცემულია სამი სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება: №479/ს; №274/ს; №55/ს), რომლის ფარგლებშიც შეთანხმებულია ერთი სამშენებლო ბანაკი, შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტებით (სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო, ბეტონის მობილური ქარხანა, ასფალტის საწარმო, დიზელის 3 რეზერვუარი და ა.შ) და ერთი სანაყარო. სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება. ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემთხვევაში, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, აგრეთვე, აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შედარებით ანალიზს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ყველა ობიექტის (სამშენებლო ბანაკი, ბეტონის ქარხნები, ქვის სამსხვრევი, გამფილტრავი აუზები, სანაყაროები და ა.შ) განთავსების GPS კოორდინატები;
- დოკუმენტის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის, ბეტონის ქარხნების, ლითონის საჭრელი საამქროს, დიზელის ავზებისა და სახელოსნოების/საწყობების განთავსების ტერიტორიის საერთო ფართობია დაახლოებით 47 285 მ²

(ს/კ: 81.12.21.828, 81.12.21.834, 81.12.21.851; ჯამური ფართობი: 47 309 მ²), ხოლო თანდართული shp ფაილების თანახმად, აღნიშნული ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 24 812 მ²-ს. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ნაწილი (ს/კ: 81.12.21.828 და 81.12.21.834), სადაც დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის ზოგიერთი ინფრასტრუქტურის (მაგ. ლითონის საჭრელი საამქრო) მოწყობა, ზედდებაშია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1011) გათვალისწინებულ გზასთან. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან დაშორებულია 81 მეტრით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 40 მეტრით (ს/კ: 81.12.21.689), რაც საჭიროებს დაზუსტებას. გარდა ამისა, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული არ არის სამშენებლო ბანაკის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებები, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით. ამასთან, ატმოსფერული ჰაერის შესახებ თავში მითითებულია, რომ „შემდგომი დეტალები მოცემულია შესაბამისი საწარმოების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშებში, რომელიც მომზადდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შესათანხმებლად, მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით“. მითითებული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას. ამასთან, ვინაიდან, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, სააგენტოსთან უნდა შეთანხმდეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტები (ზდგ). გარდა ზემოაღნიშნულისა, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ბეტონის ქარხნების ნედლეულით მომარაგების და საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ ინფორმაცია. სკრინინგის განცხადებაში ასევე დასაზუსტებელია ბეტონის ქარხნების წარმადობები (სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით), სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის მომარაგების წყარო და აღებული წყლის დაგროვების საკითხები. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები, ჩამდინარე წყლის რაოდენობა და ასევე, გაწმენდილ ჩამდინარე წყალში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სამშენებლო ბანაკის ერთიანი გენგეგმა, სადაც დატანილი იქნება აღნიშნულ ტერიტორიაზე გათვალისწინებული ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, „ქვის სამსხვრევი საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიასთან არსებული ავზიდან. წყლის სპეციალური სატვირთო მანქანა მომარაგებას უზრუნველყოფს საპროექტო ბანაკიდან, რომლითაც მხოლოდ წყლის გაფილტვრის შემდეგ მოხდება ტრანსპორტირება“. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ საწარმოს ტექნიკური წყლით მომარაგება მოხდება სამხრეთ-აღმოსავლეთით 350-450 მეტრში მდებარე რკინიგზის და საავტომობილო გზის ქვეშ გამავალი ზედაპირული გამოსასვლელების შეგროვებით, ასევე, უსახლო დელედან, „რომლის გამოსაყენებლად, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ზედაპირული

წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი პროექტი წარედგინება გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს“. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლები შეგროვდება 12 ცალ, ჯამურად 25654.3 მ³ მოცულობის გამფილტრავ ავზებში, საიდანაც გაფილტვრის შემდგომ, ტუმბოების საშუალებით, გადაიქაჩება ბეტონის სამ აუზში და განაწილდება სამსხვრევ დანადგარებზე. „საწარმოო მოედანზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ჩაედინება თორმეტ ფაზიან გამფილტრავ აუზებში, ხოლო შემდეგ ტუმბოების გამოყენებით გადაიქაჩება უკან საწარმოში, რაც შეეხება ნამატ წყალს, მხოლოდ იმის დადასტურების შემდეგ, რომ იგი არ იქნება დაბინძურებული, ჩაედინება იმავე ხევში, საიდანაც გროვდება“. ზემოაღნიშნული ინფორმაცია გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას. კერძოდ, დასაზუსტებელია ქვის სამსხვრევი საწარმოს სამუშაო გრაფიკი, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია, ობიექტის საწარმოო-ტექნიკური წყლით მომარაგების წყარო, ტექნოლოგიურ პროცესში საჭირო წყლის რაოდენობა, ასევე, საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლის შემდგომი მართვის საკითხი (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები, ჩამდინარე წყლის რაოდენობა და გაწმენდილ ჩამდინარე წყალში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები). გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იყოს ქვის სამსხვრევი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებები, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ქვის სამსხვრევი საწარმოს ერთიანი გენგეგმა, სადაც დატანილი იქნება აღნიშნულ ტერიტორიაზე გათვალისწინებული ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, №1 სანაყაროს ფართობი შეადგენს 122 335 მ²-ს, ხოლო shp ფაილების მიხედვით – 121 376 მ²-ს, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, №2 სანაყაროს მოწყობა გათვალისწინებულია 55.13.56.000.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ხოლო shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ №2 სანაყაროს ტერიტორია ასევე ნაწილობრივ მოიცავს 55.13.57.001.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სანაყაროების ფერდებისთვის გათვალისწინებული ბერძების სიგრძეები, ასევე, აღნიშნული სანაყაროების გრძივი და განივი კვეთები, სადაც დატანილი იქნება სადრენაჟო არხების მოწყობის სქემა. გარდა ამისა, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სანაყაროების ტერიტორიაზე არსებული მშრალი ხევების საინჟინრო ჰიდროლოგიური ანგარიში და აღნიშნული ხევების გაყვანის სქემა სანაყაროს ტანში. ასევე, დოკუმენტში მითითებულია, რომ „პროექტთან დაკავშირებული სხვა დეტალები, როგორებიცაა უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები, გეოტექნიკური კვლევის შედეგები, გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგები, ასევე ჭაბურღილების განლაგების რუკა და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი შეტანილია სანაყაროს დეტალურ პროექტში“. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას. ამასთანავე, სკრინინგის განცხადებაში მოცემული №2 სანაყაროს სიტუაციური ნახაზი (ტაბ. 17) წარმოდგენილი უნდა იყოს მაღალი გარჩევადობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, №2 სანაყაროს ტერიტორიის ნაწილი კვეთს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1011) გათვალისწინებული სამშენებლო გზის დერეფანს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს განმარტებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ №2 სანაყაროს მთლიანი 74 937 მ² ფართობიდან, 563 მ²

წარმოადგენს სახელმწიფო ტყეს (საგარეჯოს სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყე), ხოლო სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს;

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სარწმუნო ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიებზე არსებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე, უნდა შეფასდეს საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება, ან სათანადოდ უნდა დასაბუთდეს ზემოქმედების დაბალი ხარისხი/არარსებობა. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაიგეგმოს ზემოქმედების თავიდან აცილების ან/და შერბილების ღონისძიებები;
- დროებითი ბანაკებისა და ფუჭი ქანების სანაყაროების მოსაწყობად სოფელ მუხროვანის მიმდებარედ შერჩეული ტერიტორიების სიახლოვეს, 60 მეტრში მდებარეობს შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის გ-9-2 გამანაწილებელი არხი, სართიჭალის მიმდებარედ შერჩეული ტერიტორიის სიახლოვეს 20 მეტრში იმავე სარწყავი სისტემის გ-6 გამანაწილებელი არხი, ხოლო ნინოწმინდის მიმდებარედ შერჩეული ტერიტორიის სამხრეთით 160 მეტრში განთავსებულია ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხი. დროებითი ბანაკისა და ფუჭი ქანების სანაყაროების მოსაწყობად შერჩეულ ტერიტორიებზე სამუშაოები უნდა განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის და მათი საექსპლუატაციო გზის დაუზიანებლად. მათი დაზიანების შემთხვევაში, მშენებელი კომპანიის მიერ უნდა მოხდეს დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა. ამასთან დაუშვებელია სამელიორაციო ინფრასტრუქტურაში ფუჭი ქანების და ჩამდინარე წყლების მოხვედრა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1011), ასევე, აღნიშნული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებებით დადგენილი პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან, სკრინინგის განცხადება შეიცავს ტერმინოლოგიურ და შინაარსობრივ ხარვეზებს, დაუსრულებელ და ბუნდოვან წინადადებებს, რაც ართულებს დოკუმენტის სათანადოდ აღქმასა და შეფასებას და საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

